

ქ.თბილისი, 29.03.2021

წინამდებარე დაზღვევის ხელშეკრულება (შემდგომში „ხელშეკრულება“) დადებულია ზემოთ მითითებულ თარიღში, საქართველოს მთავრობის 2021 წლის 15 მარტის N379 განკარგულება შესაბამისად, ერთი მხრივ, სს რისკების მართვისა და სადაზღვევო კომპანია „გლობალ ბენეფიტს ჯორჯია“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 404526777) (შემდგომში „მზღვეველი“), წარმოდგენილი მისი ბიზნესის განვითარების დირექტორის თეა ხუნდაძის სახით, და მეორეს მხრივ, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, (საიდენტიფიკაციო კოდი: 202486559) (შემდგომში „დამზღვევი“), წარმოდგენილი მინისტრის მოადგილის გიორგი წოწკოლაურის სახით, შემდეგნაირად:

1. ტერმინთა განმარტება

- 1.1. თუ წინამდებარე ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, ან მისი კონტექსტიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს, მასში, აგრეთვე მის საფუძველზე გაცემულ სადაზღვევო პოლის(ებ)ში მოცემულ შემდეგ ტერმინებსა და გამოთქმებს ექნება შემდეგი მნიშვნელობა:
- გამომუშავებული პრემია** – პრემიის ის ნაწილი, რომელიც შეესაბამება დაზღვევის დაწყებიდან კონკრეტულ თარიღამდე პერიოდის შეფარდებას საწყის სადაზღვევო პერიოდთან;
- დაზღვევის ობიექტი** – დაზღვეულის ქონებრივი ინტერესი, გამოხატული მატერიალური ან არამატერიალური ფორმით, დაზღვევის ობიექტი, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, განისაზღვრება შესაბამისი პოლისით;
- დაზღვევის პირობები** – მზღვეველის მიერ შემუშავებული დოკუმენტი დაზღვევის სხვადასხვა სახეობების მიხედვით, რომლის საფუძველზეც განისაზღვრება დაზღვევის პირობები, დაზღვევის ყოველი კონკრეტული სახეობის მიხედვით. დაზღვევის პირობები, მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის შემდგომ, დანართების სახით დაერთდება ხელშეკრულებას;
- დაზღვევის პოლისი / პოლისი** – დაზღვევის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც წარმოადგენს სერთიფიკატის, განაცხადის, ხელშეკრულების და დაზღვევის პირობების ერთობლიობას;
- დაზღვევის პოლისის სერთიფიკატი / სერთიფიკატი** – პოლისის შემადგენელი ნაწილი, რომელშიც მოცემულია ინფორმაცია პოლისის მონაწილე მხარეებზე და პოლისით გათვალისწინებულ დაზღვევაზე;
- დაზღვევის ტერიტორია** – სერთიფიკატში მითითებული კონკრეტული მისამართი ან ტერიტორია, სადაც ვრცელდება დაზღვევა.
- დამზღვევი** – პირი, რომელმაც მზღვეველთან გააფორმა დაზღვევის პოლისი;
- მზღვეველი** – სს რისკების მართვისა და სადაზღვევო კომპანია „გლობალ ბენეფიტს ჯორჯია“, რომელიც კანონმდებლობის შესაბამისად ეწევა სადაზღვევო საქმიანობას და დამზღვევთან დებს ამ ხელშეკრულებას;
- მოსარგებლე/დაზღვეული** – პირი, რომელიც უფლებამოსილია მიიღოს სადაზღვევო ანაზღაურება წინამდებარე ხელშეკრულების, პოლისისა და საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად;
- მხარეები** – მზღვეველი და დამზღვევი ერთობლივად;
- სადაზღვევო თანხა / ანაზღაურების ლიმიტი** – სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში ასანაზღაურებელი თანხის მაქსიმალური ოდენობა. შესაძლებელია სერთიფიკატში განისაზღვროს ცალკე ლიმიტი სხვადასხვა ტიპის დაზღვევის ობიექტისა და რისკებისათვის (ქველიმიტი);
- სადაზღვევო პერიოდი** – დაზღვევის მოქმედების ვადა, რომელიც მითითებულია სერთიფიკატში;
- სადაზღვევო პრემია / პრემია** – დაზღვევის ღირებულება. პრემიის ოდენობა და გადახდის წესი მითითებულია სერთიფიკატში;
- სადაზღვევო რისკი / დაზღვეული რისკი** – მოვლენა, რომელიც შეიცავს მისი დადგომის შესაძლებლობის და შემთხვევითობის ნიშნებს და რომლის გამოც ხდება დაზღვევა;
- სადაზღვევო შემთხვევა** – შემთხვევა, რომლის შედეგად დამდგარი ზარალი ექვემდებარება ანაზღაურებას. სადაზღვევო შემთხვევად განიხილება დაზღვევის მოქმედების პერიოდში მომხდარი, დაზღვეული რისკის დადგომის შედეგად დამდგარი ზარალი;
- სამუშაო დღე** – ნებისმიერი დღე შაბათის, კვირის ან კანონმდებლობით განსაზღვრული ოფიციალური დასვენების დღეების გარდა, როდესაც საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკები ღიაა და წარმართავენ თავიანთ ჩვეულებრივ საქმიანობას;
- ფორს-მაჟორი** – მხარეთათვის გადაულახავი და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელი ობიექტური გარემოება (სტიქიური უბედურება, ეპიდემია, ომი და სხვა), რომელიც: ა) არ არის დაკავშირებული მხარეების შეცდომებთან; ბ) დაიწყო ან განვითარდა ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ და გ) პირდაპირ და უშუალო ზეგავლენას ახდენს იმ მხარის ხელშეკრულებით ან/და პოლისით ნაკისრი ვალდებულებების სრულად ან/და ჯეროვნად შესრულებაზე, რომელიც მიუთითებს ფორს-მაჟორულ გარემოებაზე; **ფრანშიზა** – თანხა, რომელსაც არ აანაზღაურებს მზღვეველი (არაანაზღაურებადი მინიმუმი) და აკლდება სადაზღვევო ანაზღაურებას თითოეულ და ყველა შემთხვევაზე;
- შენატანი** – პერიოდულად გადასახდელი პრემიის შემთხვევაში, კონკრეტული პერიოდისათვის გადასახდელი პრემიის ნაწილი.

- 1.2. ხელშეკრულებაში მხოლოდით რიცხვში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ მრავლობითი მნიშვნელობა და პირიქით, მრავლობით რიცხვში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ მხოლოდითი მნიშვნელობა, თუ კონტექსტით სხვა რამ არ გამომდინარეობს.
- 1.3. ხელშეკრულებაში გამოყენებული ყველა სხვა ტერმინი გამოიყენება და განიმარტება კანონმდებლობის შესაბამისად.

2. ხელშეკრულების საგანი

- 2.1. წინამდებარე ხელშეკრულებით მზღვეველი კისრულობს ვალდებულებას, დამზღვევის მიერ პრემიის სრულად ან პირველი შენატანის გადახდისა და პოლისში შეთანხმებული გადახდის გრაფიკის დაცვის სანაცვლოდ, სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში, გაუწიოს დამზღვევს სადაზღვევო პოლისით გათვალისწინებული სადაზღვევო მომსახურება, სადაზღვევო პოლისის, წინამდებარე ხელშეკრულებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
- 2.2. ხელშეკრულების თანხა შეადგენს **3 200.00 (სამი ათას ორასი) აშშ დოლარს**.
- 2.3. სადაზღვევო თანხა / ანაზღაურების ლიმიტი განისაზღვრება **2 000 000 (ორი მილიონი) აშშ დოლარის** ოდენობით.
- 2.4. ფრანშიზის სიდიდე და ტიპი- **სადაზღვევო თანხის 1.5 %**.
- 2.5. სადაზღვევო პერიოდი იწყება სადაზღვევო პოლისში მითითებული პირველი დღის 00.00 საათზე და მთავრდება პოლისში მითითებული დაზღვევის მოქმედების ვადის ბოლო დღის 24 (ოცდაოთხი) საათზე (გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ადგილი აქვს დაზღვევის ვადაზე ადრე შეწყვეტას).
- 2.6. დაზღვევის ობიექტი, დაზღვევის ტერიტორია / დაფარვის არეალი, სადაზღვევო პრემიის გადახდის პირობები და დაზღვევის სხვა დეტალები მითითდება დაზღვევის შესაბამის პოლისის სერთიფიკატში.
- 2.7. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე განხორციელებული ნებისმიერი ცალკეული, სადაზღვევო მომსახურების პირობები მოცემულია თანდართულ „ტვირთის დაზღვევის პირობებში“, რაც წინამდებარე ხელშეკრულებასთან, განაცხადთან და პოლისის სერთიფიკატ(ებ)თან ერთად არეგულირებს დაზღვეულთან დაკავშირებულ მხარეთა ურთიერთობას. წინამდებარე ხელშეკრულება, ტვირთის დაზღვევის თანდართული პირობები და შესაბამისი სადაზღვევო პოლისი(ები) (დაზღვევის პოლისის სერთიფიკატის, განაცხადის და დაზღვევის პირობების ერთობლიობა) წარმოადგენს ერთიან სადაზღვევო დოკუმენტაციას.

3. მხარეთა უფლება-მოვალეობები

3.1. მზღვეველი ვალდებულია:

- 3.1.1. უზრუნველყოს დამზღვევისათვის ყველა იმ დოკუმენტის გადაცემა (განაცხადი, დაზღვევის პირობები და პოლისის სერთიფიკატ(ებ)ი), რომლებიც საჭიროა დაზღვევის გაფორმებისათვის;
- 3.1.2. დამზღვევის მიერ პოლისში მითითებული გრაფიკის შესაბამისად გადახდილი პრემიის საფუძველზე, სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას და ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრის შემდეგ, აუნაზღაუროს დამზღვევს (ან მოსარგებლეს) ზარალი წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში გაფორმებული დაზღვევის პოლისის დაზღვევის პირობების შესაბამისად.

3.2. მზღვეველი უფლებამოსილია:

- 3.2.1. დამზღვევის მხრიდან ხელშეკრულების და დაზღვევის შესაბამისი პოლისი(ებ)ის პირობების ან პრემიის გადახდის გრაფიკის დარღვევის შემთხვევაში შეაჩეროს ან შეწყვიტოს სადაზღვევო ხელშეკრულება, ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით;
- 3.2.2. არ აანაზღაუროს დამზღვევის ან დაზღვეულის მართლსაწინააღმდეგო ქმედებით გამოწვეული ზიანი;
- 3.2.3. არ გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება დამზღვევის მიერ ხელშეკრულებითა და პოლისით გათვალისწინებული წესების დარღვევის შემთხვევაში;
- 3.2.4. არ გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება დაზღვეულის მიერ (ან დაზღვეულის თანამონაწილეობით) სადაზღვევო შემთხვევის დადგომის ფაქტის და/ან ანაზღაურების მიღებისათვის აუცილებელი დოკუმენტების გაყალბების, ასევე, ყალბი ინფორმაციის წარმოდგენის ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში. ხოლო თუ ანაზღაურება უკვე გაცემულია, დამზღვევი ვალდებულია უპირობოდ დაუბრუნოს იგი მზღვეველს;
- 3.2.5. სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შემდეგ მოსთხოვოს დამზღვევს საჭირო და აუცილებელი ცნობა, რომელიც აუცილებელია სადაზღვევო შემთხვევის ან მოვლენის ასევე ზიანის მოცულობის დასადგენად;
- 3.2.6. მოითხოვოს და მიიღოს ნებისმიერი დოკუმენტი ან საბუთი რაც აუცილებელი ან მიზანშეწონილია ზიანის გამოშვების პირის მიმართ რეგრესული მოთხოვნის წარსადგენად; მოითხოვოს გაცემული ანაზღაურების დაბრუნება, თუ აღმოჩნდა, რომ ზარალის დადგომა არ იყო გამოწვეული სადაზღვევო შემთხვევით, წინამდებარე ხელშეკრულების გათვალისწინებით;
- 3.2.7. 3.3.4 პუნქტის მიხედვით რისკის ცვლილების (საფრთხის გაზრდის) შესახებ ინფორმაციის მიღებისას, მოითხოვოს პოლისით გათვალისწინებული პირობების შეცვლა (მათ შორის სადაზღვევო პრემიის გაზრდა) ან დაზღვევის შეწყვეტა; იგივე უფლებები მზღვეველს გააჩნია იმ შემთხვევაშიც, თუ 3.3.3 პუნქტით განსაზღვრული წესების საწინააღმდეგოდ, მზღვეველს არ ეცნობა არსებითი გარემოების შესახებ, თუკი დაზღვეულისათვის ცნობილი იყო ასეთი გარემოების თაობაზე, ან თუ არსებით გარემოებათა შეტყობინებას დამზღვევმა განუზრახ აარიდა თავი ან თუ არსებითი გარემოებების შესახებ შეტყობინება არასწორ მონაცემებს შეიცავს;

3.2.8. მოითხოვოს დამზღვევისაგან წინამდებარე ხელშეკრულებით და დაზღვევის პოლისის დაზღვევის პირობებით დაკისრებული ვალდებულებების სრულად შესრულება.

3.3. დამზღვევი და/ან მოსარგებლე ვალდებულია:

- 3.3.1. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, შეავსოს და მზღვეველს წარუდგინოს მოთხოვნილი დაზღვევის სახეობისთვის მზღვეველის მიერ შემუშავებული განაცხადის ფორმა;
- 3.3.2. გადაიხადოს პრემია დაზღვევის პოლისში მოცემული პირობებისა და ვადების დაცვით;
- 3.3.3. პოლისის მიღებამდე გააცნოს მზღვეველს ყველა მისთვის ცნობილი გარემოება, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა აქვს საფრთხის ან სადაზღვევო შემთხვევის დადგომისათვის, მიუხედავად იმისა დაუსვამს თუ არა მზღვეველი მას შეკითხვას ამგვარი გარემოების არსებობის თაობაზე; არსებითია ის გარემოებები, რომლებსაც შეუძლიათ გავლენა მოახდინონ მზღვეველის გადაწყვეტილებაზე, უარი თქვას ხელშეკრულებაზე ან დადოს იგი შეცვლილი შინაარსით. არსებითად ჩაითვლება ასევე გარემოება, რომლის შესახებაც მზღვეველი წერილობით შეეკითხება დამზღვევს გარკვევით და არაორაზროვნად;
- 3.3.4. პოლისის მოქმედების პერიოდში დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 2 (ორი) კალენდარული დღისა შეატყობინოს მზღვეველს წერილობითი ფორმით ყველა იმ ცვლილების შესახებ, რომელიც ზრდის დაზღვეული რისკის ზომას ან ხარისხს და რომელიც აღმოცენდა დაზღვევის ძალაში შესვლის შემდგომ (არსებითი გარემოებები, რომელიც აღმოცენდა პოლისის გაცემის შემდეგ);
- 3.3.5. დეტალურად გააცნოს წინამდებარე დაზღვევის პირობები დაზღვეულ(ებ)ს; დამზღვევი ვალდებულია, რომ დაზღვეულებს გააცნოს ვალდებულება, რომ მზღვეველს ენიჭება უფლება მოიძიოს და გაეცნოს ყველა იმ დოკუმენტაციას, რომელსაც მზღვეველი ჩათვლის საჭიროდ სადაზღვევო ანაზღაურებისათვის. წინააღმდეგ შემთხვევაში მზღვეველი იტოვებს უფლებას არ აანაზღაუროს სადაზღვევო შემთხვევის შედეგად დამდგარი ზიანი;
- 3.3.6. დაზღვევით გათვალისწინებული შემთხვევის დადგომისას, აღნიშნულის შეტყობისთანავე დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ მზღვეველს, პოლისით დადგენილი პროცედურის დაცვით;
- 3.3.7. დაზღვევით გათვალისწინებული შემთხვევის დადგომისას შეძლებისდაგვარად თავიდან აიცილოს და/ან შეამციროს ზიანი და ამასთან დაკავშირებით შეასრულოს მზღვეველის მითითებები (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- 3.3.8. ხელი შეუწყოს მზღვეველის მიერ სადაზღვევო შემთხვევასთან და მის შედეგებთან დაკავშირებული ინფორმაციის მოკვლევა-მოძიებას და გადასცეს მას ყოველგვარი ცნობა, რომელიც კი აუცილებელია სადაზღვევო შემთხვევის ან მოვალეობის მოცულობის დასადგენად; მინიჭოს მზღვეველს უფლება და შესაბამისად საჭიროების შემთხვევაში გასცეს წერილობითი თანხმობები კანონმდებლობით დადგენილი წესით, იმისათვის რომ მზღვეველმა შეუფერხებლად აწარმოოს მოკვლევა სადაზღვევო შემთხვევის შესახებ, მოიპოვოს ნებისმიერი დოკუმენტაცია სახელმწიფო, კერძო თუ სხვა სახის ორგანიზაციებში სადაზღვევო ხელშეკრულების დადებისთვის, რისკების კონტროლისთვის, სადაზღვევო ანაზღაურებისთვის აუცილებელი ინფორმაციის გადამოწმების და მისი ნამდვილობის დადასტურების მიზნით;
- 3.3.9. დაზღვეულთა/მოსარგებლეთა მიერ ხელშეკრულებით და მისი დანართებით გათვალისწინებული ქმედებების შესრულებაზე, ასევე მათ მიერ განხორციელებული მოქმედებების/უმოქმედობის ხელშეკრულებასთან შესაბამისობაზე პასუხისმგებელია დამზღვევი, შესაბამისად მზღვეველი უფლებამოსილია არ აანაზღაუროს ზიანი, თუ დაზღვეულთა/მოსარგებლეთა მიერ დარღვეული იქნება წინამდებარე ხელშეკრულებით და მისი დანართით გათვალისწინებული ვალდებულებები და პროცედურები;
- 3.3.10. უზრუნველყოს მზღვეველისათვის იმ დოკუმენტაციის სრულად გადაცემა რომლის საფუძველზეც, მზღვეველი უფლებამოსილი იქნება მოითხოვოს რეგრესული ანაზღაურება პირებისგან, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან დაზღვეულისათვის მიყენებულ ზიანზე. თუ რეგრესული მოთხოვნის უფლების განხორციელება შეუძლებელია დამზღვევის მიზეზით, მაშინ მზღვეველს დაუბრუნდება დამზღვევისათვის ასანაზღაურებელი ან უკვე ანაზღაურებული თანხის ის ნაწილი, რომელიც მას შეეძლო მიეღო თავისი ხარჯების ასანაზღაურებლად უფლების განხორციელებასთან ან მოთხოვნის წაყენებასთან დაკავშირებით;
- 3.3.11. დაზღვეულის სასარგებლოდ ხელშეკრულების დადება არ ათავისუფლებს დამზღვევს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

3.4. დამზღვევი უფლებამოსილია:

- 3.4.1. მოითხოვოს მზღვეველისაგან წინამდებარე ხელშეკრულებით და დაზღვევის პირობებით დაკისრებული ვალდებულებების სრულად შესრულება;
- 3.4.2. პოლისის დაკარგვის ან განადგურების შემთხვევაში, მოსთხოვოს მზღვეველს დაკარგული პოლისის შესაბამისი წესით გაცემული ასლი (დუბლიკატი), რომლის დამზადების ხარჯსაც გაიღებს დამზღვევი.

4. განცხადებები და გარანტიები

- 4.1. დამზღვევი აცხადებს, რომ გააჩნია ყველა საჭირო თანხმობა და ნებართვა იმისათვის, რომ დადოს ეს ხელშეკრულება დაზღვეულის სასარგებლოდ.

- 4.2. დამზღვევი ხელშეკრულებაზე ხელისმოწერით ადასტურებს, რომ ხელშეკრულება და მზღვეველის მიერ მისთვის გადაცემული დანართები არ შეიცავს ბუნდოვან ან უჩვეულო დებულებებს და რომ იგი სრულად გაეცნო და ეთანხმება პირობებს. დამზღვევი ხელშეკრულებაზე ხელმოწერით აგრეთვე ადასტურებს, რომ ყველა დანართსა და ცვლილებას გააჩნია მისთვის სავალდებულო ძალა.

5. სადაზღვევო პრემია, მისი გადახდის წესი და პირობები

- 5.1. სადაზღვევო პრემიის ოდენობა და სადაზღვევო პრემიის გადახდის პირობები (გრაფიკი) განისაზღვრება შესაბამისი სახეობებში გაცემული დაზღვევის პოლის(ებ)ით და მითითებულია დაზღვევის პოლისის სერტიფიკატში.
- 5.2. პრემიის სრულად ან პირველი შენატანის გადახდამდე მზღვეველი თავისუფლდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან რაც ამავე დროს არ ათავისუფლებს დამზღვევს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისაგან.
- 5.3. პრემიის გადახდა უნდა მოხდეს:
- 5.3.1. ლარით, გადახდის დღისათვის ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით;
- 5.3.2. პრემიის გადახდის პირობების (გრაფიკის) მიხედვით, მზღვეველის მხრიდან ინვოისის წარდგენის შემდგომ.
- 5.3.3. მომდევნო სამუშაო დღეს, თუ პრემიის გადახდის დღე დაემთხვა არასამუშაო დღეს.
- 5.4. პრემიის გადახდა მოხდება ნაღდი ან უნაღდო ანგარიშსწორებით დამზღვევის არჩევანის შესაბამისად. ნაღდი ანგარიშსწორების შემთხვევაში პრემიის (ან შენატანის) გადახდა დასტურდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

6. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და ვადამდე შეწყვეტის პირობები

- 6.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს: (1) 1 (ერთი) წლის ვადის ამოწურვამდე; ან (2) მის საფუძველზე გაცემული ყველა პოლისის შეწყვეტამდე, რომელი მოვლენაც უფრო გვიან დადგენა.
- 6.2. ამ ხელშეკრულების საფუძველზე გაცემული თითოეული პოლისი მოქმედებს პოლისის სერტიფიკატში მითითებული ვადით.
- 6.3. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე გაცემული პოლისის მოქმედება ავტომატურად უქმდება/ვადაზე ადრე შეწყდება:
- 6.3.1. თუ მოხდა სადაზღვევო თანხის სრული ანაზღაურება;
- 6.3.2. თუ დაზღვევის ობიექტი გასხვისდა;
- 6.3.3. თუ დამზღვევის მიერ განზრახ არასწორად არის მოწოდებული ინფორმაცია არსებითი გარემოებების შესახებ ან ეს ინფორმაცია გაყალბებულია ან თუ დამზღვევის მიერ დამალულია ინფორმაცია არსებითი გარემოებების შესახებ;
- 6.3.4. თუ დამზღვევმა განზრახ გამოიწვია საფრთხის გაზრდა ან დროულად არ შეატყობინა მზღვეველს საფრთხის გაზრდის შესახებ;
- 6.3.5. დამზღვევის ან/და დაზღვეულის მიერ სადაზღვევო შემთხვევის გაყალბების აღმოჩენის შემთხვევაში;
- 6.3.6. თუ დამზღვევი/მოსარგებლე ან მისი (მათი) სახელით მოქმედი პირი არ შეასრულებს დაზღვევის პოლისით გათვალისწინებულ პირობებს, გართულებს ან ხელს შეუშლის მზღვეველს დაზღვევის პოლისით განსაზღვრული უფლებამოსილების ან მზღვეველის საქმიანობის განხორციელებაში;
- 6.3.7. დამზღვევის მიერ პოლისით გათვალისწინებულ ვადებში სადაზღვევო პრემიის გადაუხდელობის შემთხვევაში.
- 6.4. ამ ხელშეკრულების 6.3.3 - 7 პუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე გარემოების დადგომის შემთხვევაში, მზღვეველი უფლებამოსილია, თავისი არჩევანისამებრ, შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების და მის საფუძველზე გაცემული უკლებლივ ყველა სადაზღვევო პოლისის მოქმედება ან მხოლოდ იმ პოლისის ან პოლისების მოქმედება რომელსაც უშუალოდ უკავშირდება მითითებულ პუნქტებში ჩამოთვლილი დარღვევა/დარღვევები.
- 6.5. დაზღვევის პოლისის 6.3.1 პუნქტით გათვალისწინებული ვადამდელი შეწყვეტის შემთხვევაში, მზღვეველი არ არის ვალდებული დააბრუნოს სადაზღვევო პრემია და ამასთანავე დამზღვევი არ თავისუფლდება პოლისით გათვალისწინებული პრემიის დარჩენილი შენატანის გადახდის ვალდებულებისგან.
- 6.6. თუ დამზღვევს სურვილი აქვს გააუქმოს ამ ხელშეკრულების ფარგლებში გაცემული რომელიმე ან ერთდროულად რამდენიმე პოლისი, ის ვალდებულია, წერილობით შეატყობინოს მზღვეველს პოლისის გაუქმების შესახებ 1 (ერთი) თვით ადრე.
- 6.7. ამ ხელშეკრულების 6.3.3 პუნქტით გათვალისწინებული საფუძველით ხელშეკრულების მოშლა შესაძლებელია სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შემდეგაც, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ გარემოებამ, რომლის შესახებაც დაირღვა ინფორმაციის შეტყობინების ვალდებულება, გავლენა მოახდინა სადაზღვევო შემთხვევის დადგომაზე ან/და მზღვეველის მოვალეობის შესრულებაზე, მაშინ მზღვეველი თავისუფლდება ნაკისრი მოვალეობის შესრულებისაგან.

- 6.8. თუ დაირღვა წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე გაცემული რომელიმე პოლისთან დაკავშირებით პრემიის გადახდის პირობები (სრული პრემია ან რომელიმე შენატანი დროულად ან დადგენილი ოდენობით არ იქნა გადახდილი), მზღვეველი წერილობითი შეტყობინების შემდეგ 2 (ორი) კვირიანი ვადის გასვლისას თავისუფლდება დაზღვევით ნაკისრი მოვალეობის შესრულებისაგან ამ ხელშეკრულების საფუძველზე გაცემულ ყველა პოლისთან დაკავშირებით. 2 (ორი) კვირიანი ვადის გასვლამდე გადახდის გრაფიკის აღდგენის და პირგასამტეხლოს გადახდის შემდეგ, მხარეთა ურთიერთობა გაგრძელდება წინამდებარე ხელშეკრულების მიხედვით;

7. მხარეთა პასუხისმგებლობა

- 7.1. მხარეთა პასუხისმგებლობა განისაზღვრება წინამდებარე ხელშეკრულების, შესაბამისი პოლისის დაზღვევის პირობების და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
- 7.2. დამზღვევის მიერ სადაზღვევო პრემიის გადახდის გრაფიკის დარღვევის შემთხვევაში, მზღვეველი უფლებამოსილია წერილობით მოითხოვოს დამზღვევისაგან პირგასამტეხლოს გადახდა გადასახდელი პრემიის 0.05%-ს ოდენობით თითოეული ვადაგადაცილებული დღისათვის; პირგასამტეხლოს დარიცხვა/ათვლა დაიწყება წერილობით შეტყობინებაში მითითებული თარიღიდან. ამასთანავე პირგასამტეხლო გადაიხდება დამატებით, სადაზღვევო პრემიის გადახდის ვალდებულების მიუხედავად და პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს დამზღვევს ნაკისრი ძირითადი ფულადი ვალდებულების შესრულებისაგან.
- 7.3. მზღვეველი არ აანაზღაურებს სადაზღვევო შემთხვევით დამდგარ ზარალს, დამზღვევის ან/და დაზღვეულის მიერ სადაზღვევო შემთხვევის გაყალბების აღმოჩენის შემთხვევაში. ასეთი დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში, მზღვეველი უფლებამოსილია დამზღვევისათვის შეტყობინების გაგზავნის გზით დაუყოვნებლივ შეწყვიტოს პოლისი (დაზღვევის მოქმედება) და/ან დააჯარიმოს დამზღვევი 5,000 (ხუთი ათასი) ლარის ოდენობით; ყოველგვარი ეჭვის გამორიცხვის მიზნით, კონკრეტდება, რომ მზღვეველი უფლებამოსილია გამოიყენოს ამ პუნქტით გათვალისწინებული ერთ-ერთ ან ერთდროულად ორივე სანქცია, მისი არჩევანისამებრ.
- 7.4. თუ მოხდება ხელშეკრულების ან მის საფუძველზე გაცემული რომელიმე პოლისის ვადამდე შეწყვეტა დამზღვევის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების მიზეზით (მზღვეველის ბრალეულობის გარეშე) ან დამზღვევმა საკუთარი ინიციატივით (მზღვეველის ბრალეულობის გარეშე) ცალმხრივად შეწყვიტა წინამდებარე ხელშეკრულება (ან მის საფუძველზე გაცემული რომელიმე პოლისი), მათ შორის ამ ხელშეკრულების 6.6 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევაში, მაშინ:
- 7.4.1. დამზღვევს არ დაუბრუნდება ხელშეკრულების შეწყვეტის თარიღის გათვალისწინებით გამომუშაებული სადაზღვევო პრემია, დაზღვევის შესაბამისი სახეობებისა და გამოწერილი სადაზღვევო პოლის(ებ)ის მიხედვით;
- 7.4.2. დამზღვევი უპირობოდ გადაუხდის მზღვეველს დაზღვევის შესაბამისი სახეობებისა და გამოწერილი სადაზღვევო პოლის(ებ)ის მიხედვით წლიური სადაზღვევო პრემიის 1/12 ნაწილს (დაზღვევის 1 თვის შესაბამისი პრემია). ამ ქვეპუნქტში მითითებული თანხა დამზღვევის მიერ გადახდილ უნდა იქნას ამ ხელშეკრულების შეწყვეტიდან არაუგვიანეს 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში;
- 7.4.3. დამზღვევი სრულად აუნაზღაურებს მზღვეველს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ნებისმიერ სხვა ჯარიმას ან/და პირგასამტეხლოს, ამ ხელშეკრულების შეწყვეტიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში;
- 7.4.4. თუკი დამზღვევს წლიური პრემია ერთჯერადად აქვს გადახდილი, მზღვეველი უფლებამოსილია გადახდილი თანხიდან გამოქვითოს გამომუშაებულ პრემია, 7.4.2 პუნქტით გათვალისწინებულ 1 (ერთი) თვის პრემია და 7.4.3 პუნქტით გათვალისწინებული ნებისმიერი სხვა ჯარიმა ან/და პირგასამტეხლო; გამოქვითვის შემდეგ დარჩენილი თანხა დაუბრუნდება დამზღვევს 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში;
- 7.4.5. თუკი სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში მზღვეველის მიერ მოხდა სადაზღვევო შემთხვევის შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურება ამ ხელშეკრულების საფუძველზე გაცემული რომელიმე პოლისით, მაშინ ამ პოლისისთვის გათვალისწინებული პრემია სრულად უნდა აუნაზღაურდეს მზღვეველს ამ ხელშეკრულების/პოლისის შეწყვეტიდან არაუგვიანეს 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში.
- 7.5. გარდა ზემოაღნიშნულისა, მხარეები სრულად აუნაზღაურებენ ერთმანეთს ბრალეული ქმედებით მიყენებულ ზიანს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
- 7.6. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8. ორმაგი დაზღვევა

- 8.1. დამზღვევი და მოსარგებლე ვალდებულია წერილობით შეგვატყობინოთ ყველა დაზღვევის პოლისის და/ან დაზღვევის ხელშეკრულების შესახებ, რომელიც დადებულია დაზღვევის ობიექტთან დაკავშირებით სხვა სადაზღვევო კომპანიასთან. ამასთან დამზღვევი ვალდებულია მიუთითოს ყველა ასეთი სადაზღვევო კომპანიის სახელწოდება, დაზღვევის ობიექტი, დაზღვეული რისკები და სადაზღვევო თანხის სიდიდე.

- 8.2. ორმაგი დაზღვევის შემთხვევაში, მზღვეველი უფლებამოსილია წინამდებარე პირობებითა და შესაბამისი პოლისისათვის მოსარგებლეს აუნაზღაუროს ზარალი ჯამურ სადაზღვევო თანხაში თავისი წილის პროპორციულად.

9. რეგრესი

- 9.1. სადაზღვევო ანაზღაურების განხორციელების შემდეგ, მზღვეველზე გადმოდის მოთხოვნის უფლება გადახდილი თანხის ფარგლებში, რომელიც დამზღვევეს და/ან მოსარგებლეს აქვთ იმ პირის მიმართ, რომელიც პასუხისმგებელია ზარალზე.
- 9.2. დამზღვევეი ან მოსარგებლე ვალდებულია გადასცეს მზღვეველს ყველა ის საბუთი, მტკიცებულება და ინფორმაცია, რომელიც საჭიროა ზარალზე პასუხისმგებელი მესამე მხარის მიმართ გადმოსული რეგრესული მოთხოვნის უფლების გამოყენებისათვის.
- 9.3. მზღვეველი თავისუფლდება სადაზღვევო ანაზღაურების გადახდისგან, თუ დამზღვევმა ან მოსარგებლემ უარი განაცხადეს მზღვეველისთვის რეგრესული მოთხოვნის უფლების გადაცემაზე პასუხისმგებელი პირის მიმართ.
- 9.4. თუ სადაზღვევო ანაზღაურების გადახდის შემდეგ რეგრესული უფლების შესრულება შეუძლებელი გახდა დამზღვევის ან მოსარგებლის ქმედებით, მზღვეველი უფლებამოსილია მოითხოვოს უკვე ანაზღაურებული თანხის უკან დაბრუნება.

10. ფორს – მაჟორული გარემოება

- 10.1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე არც ერთი მხარე არ აგებს პასუხს მეორე მხარის წინაშე და თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან საკუთარი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ შესრულების გამო, თუ ამის მიზეზი გახდა ფორს-მაჟორული გარემოება.

11. კონფიდენციალურობა

- 11.1. ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის კონფიდენციალურია ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია დაზღვევის ობიექტთან, მათ შორის მზღვეველის მიერ პირდაპირ ან არაპირდაპირ მიღებული ზეპირი, წერილობითი (მათ შორის ბეჭდური და კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებები), მატერიალური ან/და არამატერიალური ფორმის ნებისმიერ ინფორმაცია, რომელიც მოიცავს ამ შეთანხმების პირობებს და მის საფუძველზე დაზღვეული ტვირთის მახასიათებლებს, ოდენობას, შინაარსს, წარმომავლობას და ნებისმიერ სხვა ინფორმაციას.
- 11.2. ამ შეთანხმების 11.1. პუნქტში ჩამოთვლილი ინფორმაციის გარდა „კონფიდენციალურ ინფორმაციად“ მიიჩნევა მესამე მხარის მიერ გამჟღავნებული ან მისგან მოპოვებული ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც მიღებულია დამზღვევეი მხარის უშუალო განკარგულების საფუძველზე.
- 11.3. მხარეები ვალდებული არიან, როგორც ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, ასევე სადაზღვევო ურთიერთობის დამთავრების შემდეგაც დაიცვან მეორე მხარისაგან მიღებული ნებისმიერი კონფიდენციალური ინფორმაცია და არ გაუმჟღავნონ ის მესამე პირებს. კონფიდენციალური ინფორმაცია, რომელიც მხარეთა შეთანხმებით ან კანონით მიიჩნევა ასეთად.
- 11.4. „ინფორმაციის მიმღები მხარე“ ვალდებულია:
- 11.4.1. არ გაამჟღავნოს და არ გადასცეს „კონფიდენციალური ინფორმაცია“ მესამე პირებს სრულად ან ნაწილობრივ, მათ შორის „ინფორმაციის მიმღები მხარის“ რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის შემთხვევაში, გარდა ამ შეთანხმებით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევებისა.
- 11.4.2. დაიცვას „კონფიდენციალური ინფორმაცია“ გამჟღავნებისგან და ამ საფრთხის ასარიდებლად მიიღოს ყველა საჭირო ზომა, მათ შორის საჭიროების შემთხვევაში დანერგოს უსაფრთხოების შესაბამისი სისტემა და სტანდარტები.
- 11.4.3. იმ შემთხვევაში თუ, „კონფიდენციალური ინფორმაციის“ დაცვასა და მის გაუმჟღავნებლობას ექმნება საფრთხე დაუყოვნებლივ აცნობოს აღნიშნული „ინფორმაციის გამცემ მხარეს“.
- 11.4.4. არ გამოიყენოს „კონფიდენციალური ინფორმაცია“ საკუთარი ინტერესების, კომერციული, სხვა პირებთან კონკურენციისა (მათ შორის „ინფორმაციის გამცემ მხარესთან“) და სხვა მიზნებისათვის. გარდა ამ შეთანხმებით განსაზღვრული მიზნისა.
- 11.4.5. არ მოახდინოს „კონფიდენციალური ინფორმაციის“, მისი შემადგენელი ან მასთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაციის მატერიალური თუ არამატერიალური ერთეულის კოპირება, კომპილაცია, თარგმნა ან სხვა სახით მისი დოკუმენტირება (მათ შორის ტექნიკური მოწყობილობების მეშვეობით მისი შენახვა), ასევე ნებისმიერი საინფორმაციო რესურსის შექმნა სხვა მიზნებისათვის, რომელიც პირდაპირ არ არის დაკავშირებული მხარეთა შორის დადებულ დაზღვევის ხელშეკრულებასთან.
- 11.5. კონფიდენციალურობის შესახებ ზემოაღნიშნული შეზღუდვა არ შეეხება ინფორმაციას ან ინფორმაციის გამჟღავნებას:
- 11.5.1. რომელიც კანონმდებლობის დარღვევის გარეშე იყო ცნობილი ინფორმაციის მიმღები მხარისათვის მეორე მხარის მიერ შესაბამისი ინფორმაციის მიწოდებამდე;
- 11.5.2. თუ ინფორმაციის გამჟღავნება მოხდება მხარეთა მიერ კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით და შესასრულებლად, მათ შორის, რომელიმე მხარის მიერ სასამართლო წესით მისი უფლებების განსახორციელებლად;

- 11.5.3. თუ ინფორმაციის მესამე პირისთვის გამჟღავნება მოხდება: ა) მხარეთა წერილობითი შეთანხმებით, რა შემთხვევაშიც ინფორმაციის გამცემი მხარე სრულად აგებს პასუხს მესამე პირის მიერ მისთვის გადაცემული ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვაზე ან ბ) რომელიმე მხარისგან დამოუკიდებლად.
- 11.6. მზღვეველი უფლებამოსილია დამზღვევის ან დაზღვეულის შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს მესამე პირს დამზღვევის მიერ ხელშეკრულების ან/და სადაზღვევო პოლისის პირობების შესრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულების შედეგად მზღვეველის უფლებების განხორციელების მიზნით, ან/და დამზღვევის მიერ პოლისის ან/და მასთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტის პირობების შესრულებაზე მონიტორინგის მიზნით.

12. სასამართლო და დავათა გადაწყვეტა

- 12.1. ხელშეკრულება განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
- 12.2. თითოეული მხარე ვალდებულია უპირობოდ და სრულად აუნაზღაუროს მეორე მხარეს თავისი ქმედებით - ვალდებულებათა შესრულებლობით, არასრული/არაჯეროვანი შესრულებით, არაკეთილსინდისიერი ან/და გაჭიანურებული შესრულებით მიყენებული ზიანი (მიუღებელი სარგებელის ჩათვლით) - საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
- 12.3. მხარეები მიმართავენ მაქსიმალურ ძალისხმევას, რათა მათ შორის წამოჭრილი ყველა უთანხმოება გადაწყვიტონ მოლაპარაკებათა გზით, ხოლო სადაო საკითხების მოლაპარაკებათა გზით გადაჭრის შეუძლებლობის შემთხვევაში, წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე, მხარეთა შორის წამოჭრილი ნებისმიერი დავები, პრეტენზიები ან/და წინააღმდეგობები წყდება სასამართლოს განხილვის გზით საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ.

13. მხარეთა ურთიერთობა

- 13.1. მხარეთა შორის ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას. მხარისათვის გათვალისწინებული წერილობითი შეტყობინება მას შეიძლება მიეწოდოს პირადად ან გაეგზავნოს კურიერის (მათ შორის, საერთაშორისო კურიერის) ან საფოსტო გზავნილის (მათ შორის, დაზღვეული წერილის) საშუალებით. ოპერატიულობის მიზნით და ქვემოთ მოცემული დებულებების გათვალისწინებით, დასაშვებია მეორე მხარისათვის შეტყობინების მიწოდება ფაქსის, ელექტრონული ფოსტის ან სხვა ელექტრონული საშუალებით გაგზავნის გზით, იმ პირობით, რომ მეორე მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, ამგვარი მოთხოვნიდან გონივრულ ვადაში მას წარედგინება შეტყობინება წერილობითი ფორმითაც.
- 13.2. შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს თუ შეტყობინების მიღება დადასტურებულია ადრესატის მიერ (მათ შორის, ელექტრონული დოკუმენტით, ქვითრით, შეტყობინების შესაბამისი სხვა საშუალებით და ა.შ.). თუ შეტყობინების მიღება არ არის დადასტურებული ადრესატის მიერ, ნებისმიერი ასეთი შეტყობინება მიიჩნევა სათანადო წესის შესაბამისად გაგზავნილად და მიღებულად:
- 13.2.1. კურიერის ან დაზღვეული საფოსტო გზავნილის მეშვეობით წერილობითი შეტყობინების გაგზავნის შემთხვევაში - (ა) თუ შეტყობინება გაგზავნილია მზღვეველის მიერ, გაგზავნიდან 3 (სამი) კალენდარულ დღეში, ან ჩაბარების დადასტურების თარიღის დღეს (რომელსაც უფრო ადრე ექნება ადგილი); (ბ) თუ შეტყობინება გაგზავნილია დამზღვევის მიერ, მზღვეველის კანცელარიაში შეტყობინების დარეგისტრირების მომდევნო სამუშაო დღეს;
- 13.2.2. ფაქსის, ელექტრონული ფოსტის ან/და სხვა ელექტრონული საშუალებით გაგზავნის შემთხვევაში ადრესატის მიერ შესაბამისი შეტყობინების მიღების დადასტურების თარიღიდან, ან შესაბამისი ქმედების განხორციელებით შეტყობინების მიღების დადასტურების თარიღიდან.
- 13.3. შეტყობინება მიღებულად ითვლება იმ შემთხვევაშიც, თუ შეტყობინების გამგზავნ მხარეს შეტყობინება დაუბრუნდება გაგზავნილ მისამართზე/საკონტაქტო მონაცემებზე შეტყობინების ადრესატის ადგილსამყოფელის არარსებობის გამო, ადრესატი უარს განაცხადებს შეტყობინების მიღებაზე, ან თავს აარიდებს მის მიღებას.
- 13.4. მხარეები ურთიერთობას განახორციელებენ ხელშეკრულებით ან/და მასთან დაკავშირებული სადაზღვევო პოლის(ებ)ით განსაზღვრულ მისამართზე/საკონტაქტო მონაცემებზე (ან სხვა ნებისმიერ მისამართზე/საკონტაქტო მონაცემზე, რომელსაც ერთი მხარე აცნობებს მეორეს წერილობით). მხარე ვალდებულია აღნიშნული მისამართ(ებ)ის ან მათი რომელიმე მონაცემის ცვლილების შესახებ დროულად აცნობოს მეორე მხარეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მხარის მიერ აღნიშნულ მისამართზე განხორციელებული ურთიერთობა (შეტყობინების გაგზავნა და სხვა) ჩაითვლება ჯეროვნად შესრულებულად.

14. დასკვნითი დებულებები

- 14.1. მხარეები ადასტურებენ, რომ ხელშეკრულების შინაარსი ზუსტად გამოხატავს მხარეთა ნებას და რომ მათ მიერ ნების გამოვლენა მოხდა ხელშეკრულების, აგრეთვე პოლისის შინაარსის გონივრული განსჯის შედეგად.
- 14.2. ხელშეკრულების ან/და მასთან დაკავშირებული დაზღვევის პოლისის რომელიმე მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის ბათილობა არ გამოიწვევს მთლიანად ხელშეკრულების ან/და მასთან დაკავშირებული დაზღვევის პოლისის ან/და მათი სხვა მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის ბათილობას. ბათილი დებულების ნაცვლად, გამოიყენება იმგვარი დებულება, რომლითაც უფრო ადვილად მიიღწევა

ხელშეკრულებით ან/და მასთან დაკავშირებული დაზღვევის პოლისით (მათ შორის ბათილი დებულებით) გათვალისწინებული მიზანი.

- 14.3. ხელშეკრულებას და პოლისს (სერთიფიკატი, განაცხადი და დაზღვევის პირობების) შორის წინააღმდეგობის ან შეუსაბამობის არსებობისას, უპირატესობა ენიჭება პოლისის პირობებს.
- 14.4. ხელშეკრულება ან/და მასთან დაკავშირებული სადაზღვევო პოლისი, მისი ვალდებულებებითა და სარგოებით ვრცელდება და სავალდებულოა მხარეთა უფლებამონაცვლების, თუ მემკვიდრეებისათვის/სამართალმემკვიდრეებისათვის, თუ ხელშეკრულების ან/და სადაზღვევო პოლისის შინაარსის გათვალისწინებით კანონმდებლობა სხვა რამეს არ ითვალისწინებს.
- 14.5. დაუშვებელია მხარის მიერ ამ ხელშეკრულებით ან/და მასთან დაკავშირებული სადაზღვევო პოლისით ნაკისრი ვალდებულებების გადაცემა სხვა პირისათვის, მეორე მხარის წინასწარი თანხმობის გარეშე.
- 14.6. ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 2 (ორი) იდენტურ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა დამზღვევს, ხოლო მეორე მზღვეველს.

მხარეთა ხელმოწერები

მზღვეველი

სს რისკების მართვისა და სადაზღვევო კომპანია
„გლობალ ბენეფიტს ჯორჯია“

იურიდიული მისამართი - საქართველო, ქ.
თბილისი, მთაწმინდის რაიონი, ჭანტურიას
ქ., N5, საცხოვრებელი ფართი N3

ტელეფონი - +995 32 2 500 001

დამზღვევი

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის სამინისტრო
იურიდიული მისამართი: აკაკი წერეთლის გამზირი
№144

ტელეფონი -(032) 2 51 00 26

თვა ხუნდაძე

ბიზნესის განვითარების დირექტორი

გიორგი წოწკოლაური

მინისტრის მოადგილე

ტვირთის დაზღვევის პირობები

ნაწილი 1 - ზოგადი პირობები

1. ტერმინთა განმარტება

დაზღვევის ხელშეკრულება (ხელშეკრულება) - დამზღვევსა და მზღვეველს შორის გაფორმებული დაზღვევის ხელშეკრულების შესაბამისად

- 1.1. მხოლოდით რიცხვში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ მრავლობითი მნიშვნელობა და პირიქით, მრავლობით რიცხვში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ მხოლოდითი მნიშვნელობა, თუ კონტექსტით სხვა რამ არ გამომდინარეობს.
- 1.2. პირობებში გამოყენებული ყველა სხვა ტერმინი გამოიყენება და განმარტება კანონმდებლობის შესაბამისად.

2. დაზღვევის საგანი

- 2.1. წინამდებარე პირობებით მზღვეველი იღებს ვალდებულებას, დამზღვევის მიერ პრემიის სრულად ან პირველი შენატანის გადახდისა და პოლისით გათვალისწინებული გადახდის გრაფიკის დაცვის სანაცვლოდ, დაზღვიოს გადაზიდვაში მყოფი დაზღვევის ობიექტის და მასთან დაკავშირებული მატერიალური ინტერესები, იმ დანაკარგის ან დაზიანებისაგან, რომელიც შეიძლება წარმოიშვას დაზღვევის პირობებით დაფარული რისკების პირდაპირი შედეგით;
- 2.2. დაზღვევის ობიექტია დამზღვევის/მოსარგებლის ქონებრივი ინტერესი დაკავშირებული სერთიფიკატში ('დაზღვეული ტვირთის') მითითებული ტვირთის ფლობასთან, განკარგვასთან და სარგებლობასთან, რომელიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას. დაზღვეული ქონების მიმართ დამზღვევის/მოსარგებლის დაზღვევის ინტერესის არარსებობისას, პოლისი ჩაითვლება ბათილად.
- 2.3. სადაზღვევო შემთხვევის შედეგად, ტვირთისათვის მიყენებული დანაკარგი ან დაზიანება ანაზღაურებულ იქნება ამ დაზღვევის პირობების მიხედვით;

3. გამონაკლისები

- 3.1. წინამდებარე პირობებით არ იფარება დანაკარგი, ზარალი ან დაზიანება გამოწვეული:
 - 3.1.1. დამზღვევის/დაზღვეულის განზრახ ქმედებით ან უხეში გაუფრთხილებლობით;
 - 3.1.2. დაზღვეული საგნის ბუნებით ან მისი თვისებებიდან გამომდინარე, როგორცაცაა: თვითაღება, დაღპობა, დაშრობა, თვითდაშლა, წონის ბუნებრივი კლება, პიგმენტაცია, ფერის დაკარგვა, სუნის შეთვისება და სხვა მსგავსი,
 - 3.1.3. ლატენტური დეფექტებით;
 - 3.1.4. მიზეზით/გარემოებით, რომელზეც არ აგებს პასუხს გადამზიდავი, ექსპედიტორი ან სხვა შუამავალი ან რომელზეც გადამზიდავის, ექსპედიტორის ან სხვა შუამავლის პასუხისმგებლობა არის შეზღუდული ნებაყოფლობით ან საერთაშორისო კონვენციების ან სხვა საერთაშორისო ან ადგილობრივი კანონმდებლობის მიხედვით;
 - 3.1.5. ტრანსპორტირების დაყოვნებით, ფასთა ცვლილებით და სხვა არაპირდაპირი დანაკარგი, როგორცაა: დანაკარგები გამოწვეული სავალუტო კურსის, პროცენტული განაკვეთის ცვლილებით, დანაკარგი გამოწვეული საბაზრო პირობებით, დამატებითი გადაზიდვის ხარჯებით, საკარანტინო ხარჯებით და სხვა მსგავსი;
 - 3.1.6. ტვირთის დანაკლისი, როდესაც გარე შეფუთვა არის ნორმალურ მდგომარეობაში, სრული და დაუზიანებელი;
 - 3.1.7. ნებისმიერი პირის თაღლითური ქმედებით;
 - 3.1.8. კონტაზანდული ან აკრძალული ვაჭრობით;
 - 3.1.9. ქურდობით ან გაუჩინარებით (დანაკლისით), გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც შესაბამისი და სათანადოდ მტკიცებულებებით დგინდება, რომ აღნიშნულს (ქურდობას, გაუჩინარებას დანაკლისს) ადგილი ქონდა დაზღვევის პერიოდის განმავლობაში კონტეინერში და/ან გადასაზიდ საშუალებაში ძალადობრივი ან ძალისმიერი შეღწევის შედეგად.
 - 3.1.10. სატრანსპორტო საშუალების მფლობელის, მენეჯერის ან ოპერატორის მიერ მისი ფინანსური პასუხისმგებლობის შეუსრულებლობით;

- 3.1.11. ნებისმიერი კომპიუტერის, ან კომპიუტერული სისტემის, კომპიუტერული პროგრამის, კომპიუტერული ვირუსის ან პროცესის ან სხვა ელექტრონული სისტემის ბოროტი მიზნით გამოყენების ან მუშაობის შედეგად.
- 3.1.12. პირდაპირ ან არაპირდაპირ:
 - 3.1.12.1. მაიონებელი რადიაციის ან ნებისმიერი ბირთვული საწვავის ან ბირთვული ნარჩენების ან ბირთვული საწვავის წვის შედეგად გამოწვეული რადიოაქტიური დაბინძურების შედეგად;
 - 3.1.12.2. ნებისმიერი ბირთვული დანადგარის, რეაქტორის ან სხვა ბირთვული მოწყობილობის ან მისი ბირთვული კომპონენტის რადიოაქტიური, ტოქსიკური, ფეთქებადსაშიში ან სხვა სახის სახიფათო ან დამაბინძურებელი თვისებების გამო;
 - 3.1.12.3. ნებისმიერი ატომური ან ბირთვული დაყოფის და/ან სინთეზის ან სხვა მსგავსი რეაქციის ან რადიოაქტიური ძალის ან ნივთიერების საშუალებით მოქმედი ნებისმიერი იარაღის ან ხელსაწყოების გამო;
 - 3.1.12.4. რადიოაქტიური ნივთიერების რადიოაქტიული, ტოქსიკური, ფეთქებადსაშიში ან სხვა სახიფათო ან დამაბინძურებელი თვისებებით;
 - 3.1.12.5. ნებისმიერი ქიმიური, ბიოლოგიური, ბიო-ქიმიური ან ელექტრომაგნიტური იარაღით.
- 3.1.13. ტერორისტული აქტით ან მისი მცდელობის შედეგად.
- 3.1.14. ნაწილ 2-ში მითითებული გამონაკლისებით

4. დაზღვევის მოქმედების ვადა და ტერიტორია

- 4.1. მზღვეველის პასუხისმგებლობა ძალაში იქნება ტრანსპორტირების ჩვეული ხანგრძლივობის განმავლობაში ჩვეული მარშრუტით მსვლელობისას, ტვირთის იძულებითი ჩამოტვირთვის, ჩატვირთვის და გადატვირთვის ჩათვლით, აგრეთვე მარშრუტიდან გადახრისას, რომელსაც გადამზიდველი ვერ აკონტროლებს ან რომელიც განხორციელებულია ადამიანის სიცოცხლის ან ქონების გადასარჩენად, ან სატრანსპორტო საშუალების უსაფრთხოებისათვის და დასრულებდა სადაზღვევო პოლისში აღნიშნულ ადგილას.
- 4.2. დაზღვევის ტერიტორია მითითებული პოლისის სერთიფიკატში (დაზღვეული მარშრუტი/დაფარვის ტერიტორია)
- 4.3. მზღვეველის პასუხისმგებლობა ძალაში შევა იმ მომენტიდან, როდესაც დასაზღვევი ტვირთი ჩატვირთული იქნება სატრანსპორტო საშუალებაში სადაზღვევო პოლისში აღნიშნულ ადგილას და შეწყდება სატრანსპორტო საშუალების დანიშნულების პუნქტში ჩასვლისას.

5. სადაზღვევო თანხა/ანაზღაურების ლიმიტი

- 5.1. სადაზღვევო თანხა განისაზღვრება:
 - 5.1.1. დაზღვევის მომენტში ტვირთის ღირებულებით (დოკუმენტურად დადასტურებული) ან
 - 5.1.2. დამზღვევის სურვილით, 5.1.1 პუნქტით გათვალისწინებულ ღირებულებას დამატებული დოკუმენტურად დადასტურებული დამატებითი ხარჯები (სადაზღვევო და დაფრაზტის ხარჯები - ტვირთის ღირებულების მაქსიმუმ 10%-ის ოდენობით).

და მითითებული სადაზღვევო პოლისის სერთიფიკატში;
- 5.2. თუ სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას სადაზღვევო თანხა აღმოჩნდა ტვირთის ღირებულებაზე ნაკლები (შემცირებული ან არასრული დაზღვევა), მზღვეველი პასუხისმგებელი იქნება მათი თანაფარდობის პროპორციულად. ამგვარი სხვაობის წარმოშობის შემთხვევაში დაზღვეული განიხილება როგორც საკუთარი თავის მზღვეველი და უნდა აიღოს თავის თავზე დანაკარგის პროპორციული ნაწილი.
- 5.3. მხარეების შეთანხმებით დაზღვევის პოლისში შეიძლება დაწესდეს ანაზღაურების ლიმიტი (აგრეგირებული ლიმიტი, ლიმიტი ერთ სადაზღვევო შემთხვევაზე, ერთ სატრანსპორტო საშუალებაზე და სხვა). ასეთ შემთხვევაში მიუხედავად ზარალის ოდენობისა მზღვეველი არ გადაიხდის უფრო მეტს ვიდრე შესაბამისი ანაზღაურების ლიმიტი.

6. სადაზღვევო ანაზღაურება

- 6.1. სადაზღვევო შემთხვევისას სადაზღვევო ანაზღაურება განისაზღვრება შემთხვევის მომენტისთვის ტვირთის საინვოისო ღირებულებით (არაუმეტეს სადაზღვევო თანხის/ანაზღაურების ლიმიტისა) პოლისით გათვალისწინებული ფრანშიზის გამოკლებით.
- 6.2. სადაზღვევო ანაზღაურება განისაზღვრება:
 - 6.2.1. ნებისმიერი დაზიანებისას (სრული თუ ნაწილობრივი) დაზიანებული/დაკარგული ტვირთის ღირებულებით და
 - 6.2.2. ხარჯებით, რომლებიც შესაბამის ზომებთან ტვირთის გადასარჩენად, დაზიანების თავიდან ასაცილებლად ან შესამცირებლად, აგრეთვე დაზიანებაში დამნაშავე პირისგან გარანტიების მიღებასთან და რომელიც გაწეულია მზღვეველის მიერ სრული სადაზღვევო თანხის გადახდის

გადაწყვეტილების მიღებამდე, სადაზღვევო ანაზღაურებიდან გამოქვითული იქნება ყველა თანხები, რომლებიც მიიღო დაზღვეულმა სხვა პირებისაგან იმავე დანაკარგის ან ზიანისათვის.

- 6.3. მზღვეველი უფლებამოსილია გამოქვითოს სადაზღვევო ანაზღაურებიდან დაზღვევასთან დაკავშირებული მისაღები თანხები (სადაზღვევო პრემია).
- 6.4. სადაზღვევო თანხა/ანაზღაურების ლიმიტი შემცირდება მზღვეველის მიერ ანაზღაურებული სადაზღვევო ანაზღაურების ოდენობით;
- 6.5. ზარალის ოდენობა და დაზიანების/დანაკარგის გამომწვევი მიზეზები და მასთან დაკავშირებული გარემოებების დადგენა განხორციელდება დამოუკიდებელი ექსპერტის, მზღვეველის ან მზღვეველის უფლებამოსილი პირის მიერ.
- 6.6. იმ შემთხვევაში, თუ მხარეები ვერ თანხმდებიან ზარალის სიდიდის და მისი გამომწვევი მიზეზების შესახებ, ორივე მხარეს უფლება აქვს მოვიწვიოთ დამოუკიდებელი ექსპერტიზა. ექსპერტიზის ხარჯებს გაიღებს ექსპერტიზის მომწვევი მხარე. თუ ექსპერტიზა ინიშნება ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, ექსპერტიზის ხარჯებს გაიღებს ორივე მხარე თანაბრად.
- 6.7. პირობებით გათვალისწინებული სადაზღვევო შემთხვევის ანაზღაურებისას მზღვეველს გადაეცემა უფლებები დაზღვეულ დაზიანებულ/დაკარგულ ტვირთზე.

7. სპეციალური პირობა

- 7.1. კონკრეტული გადაზიდვისათვის დაზღვევის გაფორმებისას დაზღვეული ვალდებულია შეატყობინოს მზღვეველს:
 - 7.1.1. ტვირთის სახეობა;
 - 7.1.2. პაკეტების რაოდენობა, წონა და მარკირება, ამგვარის არსებობის შემთხვევაში;
 - 7.1.3. ტვირთის წონა – შეუფუთავი ტვირთისათვის;
 - 7.1.4. ტვირთის ტრანსპორტირების სახეობა
 - 7.1.5. რეისის ნომერი.
 - 7.1.6. სატრანსპორტო დოკუმენტის თარიღი და ნომერი.
 - 7.1.7. ტრანსპორტირების დაწყების, დასრულების და გადატვირთვის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) პუნქტები.
 - 7.1.8. ყველა გარემოება, რომლის შესახებაც იცის ან შეიძლება იცოდეს შესაბამისი დაკვირვებულობის შედეგად დაზღვეულმა და რომელიც გავლენას ახდენს კომპანიის მიერ რისკების, კონტრაქტის პირობების და განაცხადის მიღების შეფასებაზე.
- 7.2. როდესაც დაზღვეულს არ გააჩნია რაიმე საჭირო ინფორმაცია, დაზღვევა შეიძლება გაფორმებულ იქნეს დაზღვეულის მიერ მიწოდებული დროებითი წინასწარი ინფორმაციის საფუძველზე, მხოლოდ იმ პირობით, რომ დაზღვეული შეატყობინებს მზღვეველს საჭირო ინფორმაციას მისი მიღებისთანავე, მაგრამ არა უგვიანეს ტრანსპორტირების დაწყებისა. დამატებითი ინფორმაციის მიღებისას მზღვეველი, თავისი შეხედულებისამებრ, შეიტანს შესაბამის დამატებებს დაზღვევის პირობებში;
- 7.3. პოლისის გაცემამდე გააცნოს მზღვეველს ყველა მისთვის ცნობილი გარემოება, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა აქვს საფრთხის ან სადაზღვევო შემთხვევის დადგომისათვის, მიუხედავად იმისა დაუსვამს თუ არა მზღვეველი მას შეკითხვას ამგვარი გარემოების არსებობის თაობაზე; არსებითია ის გარემოებები, რომლებსაც შეუძლიათ გავლენა მოახდინონ მზღვეველის გადაწყვეტილებაზე, უარი თქვას ხელშეკრულებაზე ან დადოს იგი შეცვლილი შინაარსით. არსებითად ჩაითვლება ასევე გარემოება, რომლის შესახებაც მზღვეველი წერილობით შეკითხვებზე დამზღვევს გარკვევით და არაორაზროვნად;
- 7.4. თუ მიწოდებული ინფორმაცია აღმოჩნდა ისეთი შინაარსის, რომლის წინასწარი ცოდნის შემთხვევაში მზღვეველი უარს იტყოდა დაზღვევაზე ან დაზღვევის მიმდინარე პირობებზე, მზღვეველი უფლებამოსილია გააუქმოს დაზღვევის პოლისი და არ დააბრუნოს სადაზღვევო პრემია ან შეცვალოს დაზღვევის პირობები.
- 7.5. 7.4 პუნქტით გათვალისწინებული პირობა იქნება რეტროაქტიური, ანუ იმოქმედებს იმ შემთხვევაშიც თუ დამატებითი ინფორმაციის მოწოდება მოხდა კონტრაქტის გაფორმების შემდეგ.
- 7.6. თუ ზარალი/დაზიანება მოხდა მზღვეველისათვის ზუსტი ინფორმაციის მიწოდებამდე, ეს უკანასკნელი პასუხისმგებელი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გარემოებებს, რომელთა შესახებაც მზღვეველმა არ იცოდა, არ ჰქონდათ არანაირი გავლენა სადაზღვევო შემთხვევის დადგომასთან.
- 7.7. თუ დაზღვეული დამალავს რაიმე გარემოებას, რომლის ცოდნის შემთხვევაშიც მზღვეველი სადაზღვევო ხელშეკრულებას დადებდა სხვა სადაზღვევო პირობებით, მზღვეველი უფლებამოსილია შესაბამისად შეცვალოს პრემიის ოდენობა, სადაზღვევო თანხა ან სხვა სადაზღვევო პირობები.
- 7.8. მზღვეველს უფლება აქვს ცალმხრივად გააუქმოს სადაზღვევო ხელშეკრულება, თუ:
 - 7.8.1. დაზღვეულმა არ განაცხადა (დამალა) ნებისმიერი გარემოება, რომლის ცოდნის შემთხვევაშიც მზღვეველი ხელშეკრულებას არ გააფორმებდა.
 - 7.8.2. დაზღვეულმა განაცხადა ზარალი მცდარი ინფორმაციით, რომლის მიზანია სარგებლის მიღება სადაზღვევო ხელშეკრულებისაგან.
- 7.9. ასეთ შემთხვევებში მზღვეველი იტოვებს ყველა უფლებას სადაზღვევო პრემიაზე და უარი განაცხადოს სადაზღვევო ანაზღაურებაზე.

8. სადაზღვევო შემთხვევისას

8.1. ნებისმიერი შემთხვევის დადგომისას დამზღვევე/მოსარგებლე ვალდებულია:

- 8.1.1. დაუყოვნებლივ (მაგრამ არაუგვიანეს შემთხვევის დადგომიდან 24 საათისა), შეატყობინოს მზღვეველს ამის შესახებ 24 საათიან ცხელ ხაზზე +995 322 2500001;
 - 8.1.2. შეტყობინება წერილობით დაადასტუროს 3 (სამი) სამუშაო დღის განმავლობაში;
 - 8.1.3. საერთო ავარიის შემთხვევაში:
 - 8.1.3.1. დაუყოვნებლივ შეატყობინოს მზღვეველს სხვა დაზარალებული პირის მიერ საერთო ავარიის შესაბამისი ქმედების განხორციელების შემთხვევაში
 - 8.1.3.2. თუ საჭიროა მოითხოვოს შესაბამისი გარანტიები და დეპოზიტები სხვა ტვირთის, დამფრახტველის და ხომალდის მფლობელებისაგან;
 - 8.1.3.3. თუ არ არის დანიშნული დისპაშერი, დანიშნოს ასეთი და მიაწოდოს მას შესაბამის დროში ყველა ინფორმაცია, დოკუმენტები და ა.შ.
 - 8.1.3.4. სისტემატურად შეატყობინოს მზღვეველს დისპაშერის აქტის შედგენის მსვლელობის შესახებ;
 - 8.1.3.5. დაუყოვნებლივ შეატყობინოს მზღვეველს დისპაშერის გადაწყვეტილების შესახებ და თუ საჭიროა მიიღოს ყველა საჭირო ქმედება შესაბამისი სარჩელისათვის;
 - 8.1.3.6. დისპაშერის აქტის ძალაში შესვლისას, დაუყოვნებლივ წარუდგინოს ის მზღვეველს და თან დაურთოს საერთო ავარიასთან, გაწეულ ხარჯებთან, გარანტიებთან, დანაკარგებთან და ა.შ. დაკავშირებული ყველა ხელთარსებული დოკუმენტები.
 - 8.1.4. სადაზღვევო ანაზღაურების მისაღებად მზღვეველს წარუდგინოს შემდეგი დოკუმენტაცია/ინფორმაცია:
 - სადაზღვევო პოლისის ორიგინალი;
 - ტვირთის გადაზიდვის კონტრაქტის ორიგინალი;
 - ტვირთის ანგარიშ-ფაქტურის ორიგინალი ან ასლი, აგრეთვე ტვირთის სპეციფიკაცია, შეფუთვის რეესტრი და ტვირთის წარმოშობის სერტიფიკატი;
 - ტვირთის გადასაზიდად მიღების მომენტში გამაზიდეველის მიერ შედგენილი აქტი გადაზიდვაში მიღებულ ტვირთზე;
 - სადისპაშერო აქტის ორიგინალი, რომელიც ამოწმებს ტვირთის დანაკარგის ან დაზიანების ხასიათს და მოცულობას (დისპაშერის არჩევა წინასწარ უნდა იყოს შეთანხმებული მზღვეველთან);
 - ტვირთის მიტანის/მიღების დოკუმენტები გაცემული მიმღების მიერ ტვირთის მიღების ადგილას;
 - დაზღვეულის გამაზიდეველებთან ან მესამე პირებთან კორესპონდენცია ამ უკანასკნელთა ტვირთის დაზიანების პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით;
 - ექსპორტის ქვეყნის სანიტარული სამსახურების მიერ გაცემული სერტიფიკატი, რომელიც აღნიშნავს, რომ ტვირთი არის ნორმალურ მდგომარეობაში და აკმაყოფილებს სახელმწიფო მარეგულირებელ მოთხოვნებს (საკვები პროდუქტების და სამედიცინო პრეპარატების გადაზიდვის შემთხვევაში);
 - ოფიციალური შეტყობინება, სანიტარული ორგანოების მიერ იმპორტ-ექსპორტის აკრძალვის შემთხვევაში;
 - დაზიანებული ტვირთის გაყიდვის ანგარიშ-ფაქტურა, იმისათვის რომ შემცირდეს ექსპერტის მიერ დამოწმებული დაზიანების მოცულობა;
 - ფაქტურების, სადისპაშერო აქტების და ა.შ. ორიგინალები.
 - დაზღვეულმა აგრეთვე უნდა წარადგინოს ყველა სხვა მოწმობა, რომელიც მას გააჩნია და დოკუმენტები რომლებიც შეიძლება იყოს მოთხოვნილი მზღვეველის მიერ;
 - 8.1.5. მიიღოს ყველა შესაბამისი და განხორციელებადი ზომები ტვირთის გადასარჩენად და თავიდან აიცილოს, შეზღუდოს ან შეამციროს დანაკარგი ან დაზიანება.
 - 8.1.6. წამოიწყოს და განხორციელოს საჭირო ქმედებები ნებისმიერ მესამე პირთა წინააღმდეგ, დანაკარგებისათვის ან დაზიანებისათვის, რომელიც გამოწვეულია მათი მიზეზით, აგრეთვე იმისთვის რომ განისაზღვროს დაზიანება და დანაკარგის მოცულობა;
 - 8.1.7. დაზიანებასთან ან დანაკარგთან დაკავშირებით აღძრას პრეტენზია იმ პირთა წინააღმდეგ, რომლებიც არიან პასუხისმგებელნი ტვირთზე სადაზღვევო შემთხვევის მომენტში;
 - 8.1.8. შეასრულოს მზღვეველის მოთხოვნები, არ გაართულოს და ხელი შეუწყოს მზღვეველს დაზღვევის დაზღვევის პოლისით განსაზღვრული უფლებამოსილების ან მზღვეველის საქმიანობის განხორციელებაში.
- 8.2. თუ ტვირთი იმყოფება საეჭვო, ცუდ კონდიციაში, დაზღვეულმა, მიმღებმა ან მათ წარმომადგენლებმა არ უნდა მოაწერონ ხელი არანაირ დოკუმენტებს ტვირთის მიღების შესახებ, თუ წერილობითი პრეტენზია არ არის შედგენილი.
- 8.3. როდესაც გადაზიდვა მოხდა კონტეინერით, კონტეინერი და მისი პლომბები დაზღვეულმა, მიმღებმა ან მათ წარმომადგენლებმა დაუყოვნებლივ უნდა იქნას შემოწმებული უფლებამოსილი პირის მიერ.

- 8.4. წინამდებარე პირობებით დაზღვეული ტვირთის დანაკარგის ან დაზიანების შემთხვევაში, საერთო ავარიის შედეგად დანაკარგის შეფასება უნდა იქნას გაცემული უფლებამოსილი დისპაშერის (ზარალის გაანგარიშებაზე პასუხისმგებელი ოფიციალური ექსპერტის) მიერ.
- 8.5. თუ დამზღვევი/დაზღვეული არ შეასრულებს ზემოთხსენებულ მოვალეობებს/ვალდებულებებს, მაშინ მზღვეველი უფლებამოსილია უარი განაცხადოს სადაზღვევო ანაზღაურებაზე.
- 8.6. სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას მზღვეველი ვალდებულია:
- 8.6.1. შეადგინოს სადაზღვევო შემთხვევის აქტი და განსაზღვროს სადაზღვევო ანაზღაურების თანხა, ტვირთის დაზღვევის პოლისის შესაბამისად;
 - 8.6.2. მიიღოს და განიხილოს დამზღვევის განაცხადი ზიანის დადგომის შესახებ; ზიანის შესახებ განაცხადისა და თანდართული მასალების მიღებისას თუ მასალები არასაკმარისია და ვერ ხდება ზარალის იდენტიფიცირება ან ზარალის ოდენობის დადგენა, თავად დააზუსტოს და მოიძიოს (გამონაკლისია დასვენების და სადღესასწაულო დღეები), დაზღვეული ტვირთის განადგურების (დაკარგვის) ან დაზიანების გამომწვევი მიზეზების და გარემოებების შესახებ ინფორმაცია.
 - 8.6.3. გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება სადაზღვევო შემთხვევის აქტზე მხარეთა ხელმოწერიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში;
- 8.7. სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას მზღვეველი უფლებამოსილია:
- 8.7.1. გასცეს მითითებები ტვირთის გადასარჩენად, დაზიანების ან დანაკარგის თავიდან ასაცილებლად, შესაზღუდად ან შესამცირებლად საერთო ავარიის შემთხვევაში.
 - 8.7.2. გაგზავნოს შესაბამისი შეკითხვები კომპეტენტურ ორგანოებში;
 - 8.7.3. დაათვარიელოს ადგილი, სადაც დადგა ზარალი და განახორციელოს ყველანაირი ქმედება, რასაც ჩათვლის საჭიროდ ზიანის შემცირებისათვის ან დაზიანებული ქონების მდგომარეობის შესანარჩუნებლად;
 - 8.7.4. მოახდინოს ანაზღაურების გადავადება იმ შემთხვევაში თუ:
 - ტარდება დამოუკიდებელი ექსპერტიზა სადაზღვევო შემთხვევის გამომწვევი მიზეზების, გარემოებების და ზარალის მოცულობის შესახებ. ამასთან, სადაზღვევო ანაზღაურების გადახდის ვადა იზრდება ექსპერტიზისათვის საჭირო დროის პერიოდით;
 - არსებობს საფუძვლიანი ეჭვი დამზღვევის ან მოსარგებლის მიერ სადაზღვევო ანაზღაურების მიღების უფლებამოსილებაში. სადაზღვევო ანაზღაურება არ გადაიხდება, ვიდრე არ იქნება წარმოდგენილი შესაბამისი მტკიცებულებები;
 - კომპეტენტური ორგანოების მიერ დაწყებულია გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე, შემთხვევაზე დაზღვეულის მიმართ. ამასთან, სადაზღვევო ანაზღაურების გადახდის ვადა იზრდება გამოძიების დასრულებამდე;
- 9. რისკის ცვლილება**
- 9.1. სადაზღვევო ხელშეკრულების გაფორმებისა და სადაზღვევო პოლისის გაცემის შემდეგ, დამზღვევი/დაზღვეული ვალდებულია შეატყობინოს მზღვეველს, შემდეგი შემთხვევები/გარემოებები:
- 9.1.1. ტვირთის გადაზიდვა არ დაწყებულა კონტრაქტის გაფორმებიდან 30 დღის გასვლის შემდეგ;
 - 9.1.2. განსაზღვრული ან ჩვეული მარშრუტიდან გადახრა;
 - 9.1.3. გადაზიდვის შეწყვეტა;
 - 9.1.4. ნებისმიერი ტრანზიტის საწყისი ან საბოლოო პუნქტის, ან გადატვირთვის პუნქტების ცვლილება;
 - 9.1.5. ტვირთის გამოსაზამთრებლად დატოვება;
 - 9.1.6. ზედმეტად ან არასაკმარისად დატვირთვა.
 - 9.1.7. და ყველა სხვა შემთხვევა, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიონ რისკების გაზრდა.
- 9.2. დამზღვევის მიერ ზემოაღნიშნული მოვალეობების შეუსრულებლობისას, მზღვეველი უფლებამოსილია გააუქმოს სადაზღვევო პოლისი და დაიტოვოს ყველა უფლება პრემიაზე. ხოლო თუ სადაზღვევო შემთხვევა დადგა გაზრდილი რისკის შედეგად, მზღვეველი უფლებამოსილია უარი განაცხადოს სადაზღვევო ანაზღაურებაზე.
- 9.3. საფრთხის გაზრდის შესახებ ინფორმაციის მიღებისას, მზღვეველი უფლებამოსილია მოითხოვოს პოლისით გათვალისწინებული პირობების შეცვლა, პრემიის გაზრდა ან პოლისის შეწყვეტა;
- 9.4. თუ დამზღვევი უარს აცხადებს პოლისის პირობების შეცვლაზე ან დამატებითი პრემიის გადახდაზე, პოლისი წყვეტს მოქმედებას საფრთხის გაზრდის მომენტიდან;

ნაწილი 2 - ლონდონის მზღვეველთა ინსტიტუტის ტვირთის დაზღვევის პირობები A (სრული დაფარვა - საჰაერო გადაზიდვა)

დაზღვეული რისკები

1. რისკების მუხლი

- 1.1. ეს დაზღვევა ფარავს დაზღვეული ობიექტის დანაკარგის ან დაზიანების ყველა რისკებს, გარდა ამ პირობების II-ე ნაწილის მე-4, მე-5, მე-6 და მე-7 მუხლებში განსაზღვრული რისკებისა და გამონაკლისებისა.

2. საერთო ავარიის მუხლი

- 2.1. ეს დაზღვევა ფარავს საერთო ავარიის და ქონების გადარჩენის ხარჯებს, დაწესებულს და განსაზღვრულს საჰაერო გადაზიდვის ხელშეკრულებით და/ან მოქმედი კანონებითა და/ან პრაქტიკით, რომლებიც გაწეულია ნებისმიერი მიზეზით გამოწვეული დანაკარგების თავიდან ასაცილებლად ან თავიდან აცილებასთან დაკავშირებით, გარდა იმ მიზეზებისა, რომლებიც გამორიცხულია ამ პირობების II-ე ნაწილის მე-3, მე-4 და მე-5 მუხლებში ან ამ დაზღვევის პირობების სხვა ნებისმიერ მუხლში.

გამონაკლისების მუხლი

3. ეს დაზღვევა არ ფარავს:

- 3.1. დანაკარგს, დაზიანებას ან ხარჯს, რომელიც დაკავშირებულია დამზღვევის/დაზღვეულის განზრახ ჩადენილ ქმედებასთან.
- 3.2. ჩვეულ/ნორმატიულ გაჟონვას, წონის ან მოცულობის ჩვეულ კლებას ან კარგვას, ან დაზღვეული საგნის ჩვეულ ცვეთას.
- 3.3. დანაკარგს, დაზიანებას ან ხარჯს, გამოწვეულს საგნის (ტვირთის) ტრანსპორტირებისთვის არასაკმარისი ან შეუფერებელი შეფუთვით ან მომზადებით, განხორციელებულს დამზღვევის/დაზღვეულის (მათ შორის დამზღვევის თანამშრომლების) მიერ ან მათი მითითებით (ამ მუხლის შემთხვევისათვის ჩაითვლება, რომ “შეფუთვა” მოიცავს ჩაწყობას კონტეინერში ან ყუთებში, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როდესაც ასეთი ჩაწყობა ხორციელდება უშუალოდ ამ დაზღვევის ძალაში შესვლამდე და დამზღვევი/დაზღვეული არ გულისხმობს დამოუკიდებელ კონტრაქტორს).
- 3.4. დანაკარგს, დაზიანებას ან ხარჯს გამოწვეულს დაზღვეული საგნის ბუნებით ან შინაგანი თვისებებით.
- 3.5. დანაკარგს, დაზიანებას ან ხარჯს, გამოწვეულს გადაზიდვის საშუალების (ხომალდის, კონტეინერის ან ყუთის) დაზღვეული ობიექტის უსაფრთხო გადატანისათვის გამოუსადეგრობით/უვარგისობით, როდესაც დამზღვევისთვის/დაზღვეულისათვის ან მათი მომსახურე პერსონალისათვის ცნობილია ამგვარი უვარგისობა ან გამოუსადეგრობა, დაზღვეული საგნის მათში ჩატვირთვის დროისათვის.
- 3.6. დანაკარგს, დაზიანებას ან ხარჯს უშუალოდ გამოწვეულს დაყოვნებით, თუნდაც ეს დაყოვნება გამოწვეულია რისკით, რომელიც დაზღვეულია (გარდა ხარჯებისა, რომელთა გადახდა გათვალისწინებულია ამ პირობების II-ე ნაწილის მე-2 მუხლში).
- 3.7. დანაკარგს, დაზიანებას ან ხარჯს, გამოწვეულს სატრანსპორტო საშუალების მფლობელის, მმართველის, დამფრახტველის ან ოპერატორის გადახდისუუნარობით ან ფინანსური ვალდებულების შეუსრულებლობით.
- 3.8. დანაკარგს, დაზიანებას ან ხარჯს, გამოწვეულს ნებისმიერი საომარი იარაღის გამოყენებით, რომელიც შეიცავს ატომური ან ბირთვული ძაღლის და/ან სინთეზის ელემენტს, ან სხვა მსგავს რეაქციას, ან რადიოაქტიურ ძაღლს, ან სხვა მსგავს შემთხვევას.
- 3.9. დანაკარგს, დაზიანებას ან ხარჯს, გამოწვეულს უარყოფით ან კონფისკაციით.

4. ეს დაზღვევა არ ფარავს დანაკარგს, დაზიანებას ან ხარჯს გამოწვეულს:

- 4.1. ომით, სამოქალაქო ომით, რევოლუციით, აჯანყებით, ამბოხებით, ან მათგან გამომდინარე სამოქალაქო ბრძოლით, ან ნებისმიერი მტრული ქმედებით მეომარი ძაღლის მიერ ან მის წინააღმდეგ.
- 4.2. გატაცებით, დაპყრობით, დაპატიმრებით, დამონებით ან დაკავებით (გარდა: მეკობრეობისა და ნაწილი 1-ის 3.1.9 ქვეპუნქტისა) და მათგან გამომდინარე შედეგებით, ან ამ ქმედებების ნებისმიერი მცდელობით.

4.3. დარჩენილი ნაღმებით, ტორპედოებით, ბომბებით ან სხვა დარჩენილი საომარი იარაღით.

5. ეს დაზღვევა არ დაფარავს დანაკარგს, დაზიანებას, ხარჯს გამოწვეულს:

- 5.1. გაფიცულების, ლოკაუტირებული მუშების, ან პიროვნებების მიერ, რომლებიც იღებენ მონაწილეობას შრომით არეულობაში, აჯანყებაში ან სამოქალაქო მღელვარებაში.
- 5.2. გაფიცვებით, ლოკაუტებით, შრომითი არეულობით, აჯანყებით ან სამოქალაქო მღელვარებით.
- 5.3. პოლიტიკური მოტივით მოქმედი ნებისმიერი ტერორისტის ან ნებისმიერი პიროვნების ქმედებით.

6. ტრანზიტის მუხლი

6.1. მე-7 მუხლის პირობების გათვალისწინებით, დაზღვევა იწყება, როდესაც ტვირთი ტოვებს პოლისში დასახელებულ ადგილზე მდებარე საწყობს ან შესანახ ადგილს ტრანზიტის დასაწყებად, გრძელდება ტრანზიტის ჩვეულებრივი კურსის განმავლობაში და სრულდება:

- 6.1.1. პოლისში მითითებული დანიშნულების პუნქტში ტვირთის მიწოდებისას
- 6.1.2. სადაზღვევო პოლისში მითითებული პოლისის მოქმედების ვადის გასვლისას, იმის მიხედვით, თუ რომელს ექნება პირველად ადგილი.

6.2. ეს დაზღვევა დარჩება ძალაში (ზემოაღნიშნული პირობებისა და მე-7 მუხლის მიხედვით) ნებისმიერი შეფერხების, მარშრუტიდან გადახრის, იძულებითი ჩამოტვირთვის, გადატვირთვის ან გადაზიდვის დროს, რომელსაც ვერ აკონტროლებს დაზღვეული და რომელიც გამოწვეულია ხომალდის მფლობელის მიერ გადაზიდვის კონტრაქტით მინიჭებული უფლების გამოყენებით.

7. ტრანსპორტირების ხელშეკრულების შეწყვეტის მუხლი

თუ გადაზიდვის ხელშეკრულება შეწყდება გადაზიდვის საბოლოო დანიშნულების ადგილიდან განსხვავებულ ადგილზე ან პორტში იმ მოვლენებიდან გამომდინარე რომელსაც დაზღვეული ვერ აკონტროლებს, ან ტრანზიტი დასრულდება სხვაგვარად, ვიდრე ეს წარმოდგენილია ამ პირობების II-ე ნაწილის მე-6 მუხლში ზემოთ, დაზღვევის გაგრძელება შესაძლებელია დაზღვევის ძალაში ყოფნის განმავლობაში მზღვეველისათვის მოთხოვნის გაგზავნით და შესაბამისი დამატებითი პრემიის გადახდით. აღნიშნულ შემთხვევაში დაზღვევა დასრულდება:

- 7.1. ტვირთის გაყიდვის და მიწოდების შემდეგ ასეთ განსხვავებულ პორტში ან ადგილზე, ან თუ ეს სხვაგვარად განსაკუთრებულად არ არის შეთანხმებული მზღვეველთან, დასრულდება ამგვარად დაზღვეულ განსხვავებულ პორტში ან ადგილზე ტვირთის ჩამოსვლიდან 30 დღის გასვლის შემდეგ, იმის და მიუხედავად, თუ რომელს ჰქონდა ადგილი პირველად, ან
- 7.2. თუ ამ 30 დღის (ან ნებისმიერი შეთანხმებული ვადის) განმავლობაში ტვირთი გაიგზავნა აღნიშნულ, ან სხვა დანიშნულების ადგილზე, სანამ დაზღვევა დასრულდება ამ პირობების II-ე ნაწილის მე-6 მუხლის პირობის თანახმად.

8. მარშრუტის ცვლილების მუხლი

8.1. თუ ამ დაზღვევის ძალაში შესვლის შემდეგ, დაზღვეული შეცვლის დანიშნულების ადგილს მზღვეველისათვის მიწოდებული უნდა იყოს სასწრაფო შეტყობინება და უნდა მოხდეს შეთანხმება სადაზღვევო პრემიისა და სხვა პირობების შესახებ.

9. სადაზღვევო ინტერესის მუხლი

- 9.1. ამ დაზღვევით გათვალისწინებული ასანაზღაურებელი ზარალის მისაღებად, დაზღვეულს უნდა გააჩნდეს დაზღვეული ობიექტის მიმართ სადაზღვევო ინტერესი დანაკარგის დროს.
- 9.2. დაზღვეულს ექნება უფლება მიიღოს ამ დაზღვევით დაფარული პერიოდის განმავლობაში მომხდარი დაზღვეული ზარალის ანაზღაურება, იმის მიუხედავად, თუ ზარალი მოხდა სადაზღვევო ხელშეკრულების დადებამდე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დაზღვეულმა წინასწარ იცოდა ამ დანაკარგის შესახებ, ხოლო მზღვეველმა არა.

10. გადაგზავნის ხარჯების მუხლი

10.1.თუ ამ დაზღვევით დაფარული რისკის მოქმედების შედეგად, ტრანზიტი სრულდება არა დაზღვეულ დანიშნულების პორტში ან ადგილზე, მზღვეველი აუნაზღაურებს დაზღვეულს ნებისმიერ დამატებით ხარჯებს, რაც მიზანშეწონილად ან გონივრულად არის აუცილებელი ტვირთის ჩამოსატვირთად, შესანახად და გადასაგზავნად დანიშნულების იმ ადგილამდე, სადამდეც ის იყო დაზღვეული.

10.2.ეს მუხლი არ ვრცელდება საერთო ავარიის და გადარჩენის ხარჯებზე, თუმცა ექვემდებარება ამ პირობების II-ე ნაწილის მე-3, მე-4, მე-5 მუხლებში აღნიშნულ გამონაკლისებს და არ მოიცავს ხარჯებს, გამოწვეულს დაზღვეულის ან მისი მომსახურე პერსონალის შეცდომით, დაუდევრობით, გადახდისუუნარობით და ფინანსური ვალდებულებების შეუსრულებლობით.

11. კონსტრუქციული სრული განადგურების მუხლი

11.1.განმარტება:

“კონსტრუქციული სრული განადგურება” - დაზღვეული საგნის ისეთი დაზიანება, როდესაც დაზიანების აღმოფხვრის (შეკეთების ა.შ) ხარჯები და დანიშნულების პუნქტში ტვირთის გადაგზავნის ხარჯები აღემატება ღირებულებას რომელიც ტვირთს ექნებოდა დანიშნულების ადგილზე ჩატანისას.

12. გაზრდილი ღირებულების მუხლი

12.1.თუ დაზღვეულის მიერ გაფორმებულია სხვა ნებისმიერი დაზღვევა რომელიც ზრდის საერთო სადაზღვევო ღირებულებას ამ დაზღვევით დაზღვეული ტვირთისათვის, ტვირთის დაზღვეული ღირებულება ჩაითვლება გაზრდილად ჯამურ სადაზღვევო თანხამდე ყველა დაზღვევით (ამის ჩათვლით), და პასუხისმგებლობა ამ დაზღვევის მიხედვით იქნება ისეთი პროპორციით, როგორც ამ დაზღვევის სადაზღვევო თანხა შეუფარდდება ასეთ ჯამურ სადაზღვევო თანხას. სარჩელის შემთხვევაში დაზღვეული ვალდებულია წარუდგინოს მზღვეველს ყველა სხვა დაზღვევასთან დაკავშირებული საბუთები.

12.2.როდესაც ეს დაზღვევა არის გაზრდილი ღირებულებაზე, ძალაში შედის შემდეგი მუხლი: ტვირთის შეთანხმებული სადაზღვევო ღირებულებად მიიჩნევა ამ დაზღვევის ჯამური სადაზღვევო თანხისა და დაზღვეულის მიერ იმავე ტვირთზე გაფორმებული ყველა სხვა სადაზღვევო პოლის(ებ)ით განსაზღვრული სადაზღვევო თანხ(ებ)ის ჯამი და პასუხისმგებლობა ამ დაზღვევის მიხედვით იქნება ისეთი პროპორციით, როგორც ამ დაზღვევის სადაზღვევო

თანხა შეეფარდება დაზღვეულ მთლიან თანხას. სარჩელის შემთხვევაში დაზღვეული ვალდებულია წარუდგინოს მზღვეველს ყველა სხვა დაზღვევასთან დაკავშირებული საბუთები.

13. მუხლი უფლების არქონის შესახებ

13.1.ეს დაზღვევა არ იმოქმედებს გადამზიდველის ან ტვირთზე სხვა პასუხისმგებელი პირის სასარგებლოდ.

14. დაზღვეულის მოვალეობის მუხლი

ამ დაზღვევით ანაზღაურებად ზარალთან დაკავშირებით დაზღვეული და მისი მომსახურე პერსონალი და აგენტები ვალდებული არიან:

14.1.მიიღონ ზარალის თავიდან აცილების ან მისი მინიმუმამდე დაყვანის შესაბამისი ზომები, და

14.2.უზრუნველყონ, რომ გადამზიდველების, ტვირთზე პასუხისმგებელი სხვა პირის ან სხვა მესამე მხარის მიმართ პრეტენზიის წაყენების უფლებები სათანადოდ იყოს დაცული და შესრულებული. მზღვეველი აუნაზღაურებს დაზღვეულს ამ ვალდებულებების სათანადოდ შესრულებისათვის გაწეულ გონივრულ ხარჯებს.

15. უფლებებზე უარის თქმის მუხლი

15.1.დაზღვეული საგნის გადარჩენის, დაცვის ან აღდგენის მიზნით დაზღვეულის ან მზღვეველის მიერ მიღებული ზომები არ ჩაითვლება ტვირთის სადაზღვევო კომპანიისათვის გადაცემის უფლებაზე უარის თქმად ან აღიარებად, ან სხვა უფლების შეზღუდვის საფუძველად.

16. სათანადო სისწრაფით მოქმედების მუხლი

16.1.ამ დაზღვევის პირობაა, რომ დაზღვეული იმოქმედებს სათანადო სისწრაფით მისი კონტროლის ქვეშ მყოფ

ნებისმიერ ვითარებაში.

17. შეტყობინება

- 17.1. როდესაც დაზღვეული შეიტყობს ამ დაზღვევით დაზღვეული შემთხვევის დადგომის შესახებ, მან აუცილებლად უნდა მიაწოდოს შემთხვევის დაგვრად დაუყოვნებლივ შეტყობინება მზღვეველს.
- 17.2. ზარალის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიწოდების მაქსიმალური ვადა არის 1 თვე შემთხვევის მოხდენის თარიღიდან.
- 17.3. ამ ვადის გასვლის შემდეგ გაცხადებული ზარალი არ ექვემდებარება ანაზღაურებას.